

დღეს ჩვენი ყველა გზა რუსეთის განახლებული იმპერიისკენ მიდის!

გაზეთი “ასავალ-დასავალი” – 11-17 აპრილი, № 15, 2011.

იმ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაციის საფრთხეზე საუბარს თავს არ ანებებს და ამის განსახორციელებლად წამოსულ რუსულ დაფინანსებას ოპოზიციაში ეძებს, რუსულ კომპანია „ინტერ-რაოს“ მფლობელობაში კიდევ ორი ენერგობიექტი, ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1“ და „ხრამი-2“ გადაეცა. „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს და საქართველოს შორის პოლიტიკურად დაძაბული მდგომარეობაა და ამ ქვეყანას საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული აქვს, ეკონომიკურად ჯანსაღი ურთიერთობები არსებობს.“ – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა. როგორ შეიძლება მტრად გამოცხადებულ სახელმწიფოსთან ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობები და რა იმალება ამის უკან, ამ შეკითხვით მივმართეთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავა:

– 2 ვფიქრობ, მკითხველს უნდა შევახსენოთ 2003 წლის 1 ოქტომბერს რუსულ „ნეზავისიმია გაზეტა“-ში გამოქვეყნებული წერილი „რუსეთის მისია 21-ე საუკუნეში“, რომლის ავტორი გახლავთ ანატოლი ჩუბაისი. სტატიაში მან ჩამოაყალიბა რუსეთის ლიბერალური იმპერიის კონცეფცია და განაცხადა, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში უნდა აღადგინოს იმპერია, ოღონდ არა სამხედრო ძალის გამოყენებით, არამედ ეკონომიკური მექანიზმების საფუძველზე. ამ გეგმის თანახმად, რუსულმა მსხვილმა კომპანიებმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე უნდა მიიღონ მონაწილეობა პრივატიზაციაში, შეიძინონ სტრატეგიული ობიექტები და ამით ხელთ იგდონ ბერკეტები პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული რესპუბლიკების სამართავად.

კავკასიაში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა სომხეთში, 2002 წელს, როცა რუსეთმა მას აპატია 93 მილიონი დოლარის ვალი, სანაცვლოდ კი

სომხეთის საწარმოები გადავიდა მის ხელში. ამის შემდეგ, 2003 წლის ზაფხულში, ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს-ი“, რომელიც საქართველოში „თელასის“ მფლობელი იყო, გაკოტრდა და ის ჩაანაცვლა რუსულმა „რაო-ეესმა“, რის გამოც იმდროინდელი ოპოზიცია, ანუ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ეღუარდ შევარდნაძის სასტიკი კრიტიკით გამოვიდა. აქვე სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „თელასი“ რუსეთზე ეღუარდ შევარდნაძეს არ გაუყვია, ის გაყიდა ამერიკულმა კომპანიამ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყველანი ველოდით, რომ გუნდი, რომელიც შევარდნაძეს რუსეთთან ურთიერთობის გამო აკრიტიკებდა, ამ მიმართულებით პოლიტიკას შეცვლიდა, თუმცა, მოხდა პირიქით, „ვარდების რევოლუციისთანავე“ რუსულ კაპიტალს გზა ფართოდ გაეხსნა. პირველი იყო ის, რომ რუსულ „პრომიშლენიე ინვესტორის“ გადაეცა კაზრეთის ოქროს საბადო. შემდეგ შემოვიდა რუსული „გენშტორგბანკი“. ამავე დროს „გაზპრომმა“ საქართველოს მთავრობასთან დაიწყო მოლაპარაკებები მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვის შესახებ. გარიგება პრაქტიკულად უკვე შემდგარი იყო, მაგრამ ჩაიშალა ამერიკის მთავრობის ჩარევის შედეგად და დაიღო შეთანხმება, რომ საქართველო 2011 წლამდე გაზსადენს არ გაყიდდა, სანაცვლოდ გაზსადენის რეაბილიტაციისთვის ათასწლეულის განვითარების ფონდმა გამოყო 39 მილიონი დოლარი. ამ შეთანხმებას ვადა გასდის აპრილში და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც გადავა რუსეთის ხელში, რადგან 2010 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა, სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან, რომელიც არ ექვემდებარება გაყიდვას, ამოიღო გაზსადენი.

რაც მთავრია 2008 წლის აგვისტოს ომს რაიმე კორექტივი ქართულ-რუსულ ეკონომიკურ ურთიერთობებში არ შეუტანია, ომიდან ერთ თვეში, სექტემბერში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის მიესალმება რუსულ ინვესტიციებს საქართველოში. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ბოლოს „ინტერ-რაოს“ მართვაში გადაეცა ენგურჰესი შესაბამისი მემორანდუმით, რომელიც დღემდე გასაიდუმლოებულია. საინტერესოა, რატომ უნდა იყოს გასაიდუმლებული, თუ იქ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებს საწინააღმდეგო რაიმე არ წერია. ამ ფონზე „ხრამი-1“-სა და „ხრამი-2“-ის გაყიდვა რუსეთზე სრულიად არ არის გასაკვირი. რუსეთის გეგმები იმპერიის აღდგენასთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა რკინიგზის სფეროში, როცა მან შეიძინა სომხეთის რკინიგზა და ამ კომპანიას ჰქვია „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა.“ ამით უშუალოდ ჩანს, რომ

მას აქვს საჯაროდ გაცხადებული ამბიცია, რომ ის მოიცავს საქართველოს რკინიგზასაც და აზერბაიჯანის რკინიგზასაც.

– ანუ, თუ ასე გაგრძელდა, აღმოჩნდებით რუსეთის ლიბერალური იმპერიის შემადგენლობაში?

– არათუ აღმოჩნდებით, ეჭვი მაქვს, რომ უკვე ვართ რუსეთის იმპერიის ნაწილი, რადგან ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას რომელი კომპანიის უკან რეალურად ვინ დგას. თითქმის ყველა სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტი რუსეთის ხელშია, თუმცა, ჯერ კიდევ დაგვრჩა ობიექტები, რომელზეც რუსეთს უჭირავს თვალი და ჩვენი ხელისუფლება არათუ წინააღმდეგობას უწევს ამას, პირიქით, ხელსაც უწყოფს. ერთის მხრივ, ჩვენ ვართ საომარ მდგომარეობაში რუსეთთან, ვეწინააღმდეგებით მის გაწვევიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და იმავდროულად მხარს ვუჭერთ რუსულ კაპიტალს. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რუსეთში გამდიდრებული ოლიგარქი კახა ბენდუქიძე იყო და არის რუსეთის ბიზნეს-ინტერესების ხიდი საქართველოში. ასე რომ, დღეს ჩვენი ყველა გზა რუსეთის განახლებული იმპერიისკენ მიდის.

– რუსეთთან შეხმატკბილებული ურთიერთობის პარალელურად დაიძაბა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ისრაელთან, ამის მიზეზი ებრაელი ბიზნესმენების დაკავება გახდა....

– მიჭირს შევაფასო, ის, რაც მოხდა. ფაქტია, რომ ებრაელ ბიზნესმენებს თავის დროზე რაიმე სერიოზული ინვესტიცია საქართველოში არ განუხორციელოვიათ და მიკვირს, რატომ არ იცავდა ლონდონის არბიტრაჟში ქართული მხარე თავს, რატომ არ დაასაბუთა, ქართული მხარის უდანაშაულობა. მეორე კითხვა, რომელიც მაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, არის შემდეგი: თუ ეს ბიზნესმენები უკვე მხილებული იყვნენ, როგორც კორუფციული სქემის მონაწილეები, რატომ მოიპატიუა ისინი პრემიერ-მინისტრმა – იმისთვის, რომ ეწარმოებინათ მოლაპარაკება, თუ იმისთვის, რომ დაეჭირათ? მე ქრთამის შეთავაზების ბევრი შემთხვევა მახსოვს, რომელიც არ დასჯილა. მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს რომ აგარკი მისცეს გაჩუმების სანაცვლოდ ერთ ლარად, ეს არ იყო ქრთამის შეთავაზება? მაგრამ ქრთამის მიმცემი არ დასჯილა და როგორც კი ბურჯანაძე არ გაჩუმდა, აგარაკი ჩამოართვეს.

ისრაელი მარტო საკუთარი ტერიტორიის ფარგლებით არ შემოისაზღვრება. აქვს სერიოზული კონტაქტები აშშ-სა და ევროპულ სახელმწიფოებში, ყველგან ძალიან ძლიერია ებრაული ლობი. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს ხელისუფლება არ სარგებლობს განსაკუთრებული სიმპატიით ამერიკის მმართველ პარტიაში, „დემოკრატებში“. სააკაშვილის მიმართ სიმპატიები აქვთ „რესპუბლიკელებს“, რომელთა უკან ამერიკელი ებრაელები დგანან. ასე რომ, ეს ურთიერთობებიც აუცილებლად შეიცვლება. ისრაელი ყველა რესურს გამოიყენებს საკუთარი ბიზნესმენების დასაცავად.

ახლა პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა განაცხადა, რომ ფუქსსა და ფრენკელს შეუძლიათ მოითხოვონ შეწყალება. ეს ნიშნავს, რომ მათ აღიარონ დანაშაული, უარი თქვან ფულზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ საკუთარი რეპუტაცია. თუ ებრაელი ბიზნესმენები შეწყალებას არ მოითხოვონ, მათ უნდა გააგრძელონ დავა, მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს, ეს პროცესი კი წლობით გასტანს და ამ პერიოდში უნდა ისხდნენ ციხეში. არანაკლებ ცუდ მდგომარეობაშია ქართული მხარე, თუ ებრაელები მოითხოვენ შეწყალებას, იტყვიან, არ გვეკუთვნოდა ეს ფული და ქრთამს ვთავაზობდით ქართველ ჩინოსნებს იმისთვის, რომ საქართველოს ბიუჯეტი ათეულობით მილიონით ეზარალებინათო, თუ ასეთი აღიარების შემდეგ პრეზიდენტი მათ შეიწყალებს, რა გამოდის? – იწყალებ მათ, ვინც ათეულობით მილიონის ზარალს გაყენებს და ნულოვანი ტოლერანტობა გაქვს გამოცხადებული ჩვენი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც რამდენი ლარის გამო სხედან ციხეში? თუ ბიზნესმენებმა არ მოითხოვეს შეწყალება, საქართველოს გაუჩნდება დიდი მტერი ჩვენი ისტორიული ძმის სახით. ასე რომ, ყველა შემთხვევაში ჩიხში ვართ მოქცეული და არა მხოლოდ აქ, ამ ხელისუფლებას ყველა სფეროში შევყავართ ისეთ ჩიხში, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან გაგვიჭირდება.

ესაუბრა თვა ასათიანი